საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვიტაიშვილი ემზარ დავითის ძე



ე. კვიტაიშვილი

კვიტაიშვილი ემზარ დავითის ძე (დ. 27. XI. 1935, თბილისი), პოეტი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1969).

დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1959). 1960-იდან მუშაობდა სხვადასხვა გამომცემლობაში. 1964 მუშაობა დაიწყო ჟურნ. „ცისკრის“ რედაქციაში ლიტმუშაკად, 1967–74 იყო პროზის განყ-ბის გამგე, 1974-იდან მუშაობა განაგრძო შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტში.

პირველი ლექსები 1957 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი კრებ. „გზაში ნათქვამი სიმღერა“ – 1963. ავტორია ლექსების კრებულებისა: „გახსენება“ (1971), „გაზაფხული“ (1973), „ხე ცხოვრებისა“ (1976), „გაზაფხულის ვნებანი“ (1980), „შემოდგომა დამდგარა“ (1984), „ჭადარი შუა ქუჩაში“ (1985), „სიზმარი ვნახე“ (1986), „იკაროსის დაღუპვა“ (1998), „100 ლექსი“ (2011), „შემოდგომის ხიზანი“ (2013), „მწიფობა“ (2018). კ-ს გამოქვეყნებული აქვს მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევები, ესეები, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. 1981 გამოიცა მისი წერილების, გამოკვლევებისა და მოგონებების წიგნი „შაირია ამად კარგი“, 2008 გამოქვეყნდა „ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა“, ხოლო 2015 – „სამსახეობა თამაზ ჩხენკელისა“.

კ. არის საქართვ. სახელმწ. პრემიის (1992), გ. კიკნაძის სახ. (2015), ა. წერეთლის სახ. (2016) პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).